საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრი

Georgian Center for Security and Development

ნატო-ს ვარშავის სამიტის დეკლარაციის მოკლე მიმოხილვა

(გავლენა საქართველოზე)

საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრი (GCSD) არის არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი, რომლის ძირითადი მიზნებია: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა; ქვეყნის ეფექტიანი და დემოკრატიული მართვის პრინციპების განმტკიცება და ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობების შექმნა.

http://www.gcsd.org.ge/ka/

ეს დოკუმენტი მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებას ვარშავის სამიტზე მიღებულ იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებსაც პირდაპირი და/ან არაპირდაპირი კავშირი აქვთ საქართველოს უსაფრთხოებასთან და ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან. დოკუმენტი შეიცავს დეკლარაციის ცალკეული დებულებების მოკლე მიმოხილვას და ანალიზს.

ძირითადი საფრთხეები და გამოწვევები

ვარშავის სამიტზე ნატო-ს წინაშე არსებულ მთავარ გამოწვევებად ალიანსის აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებისაგან მომდინარე სამხედრო, ტერორისტული, კიბერ და ჰიბრიდული საფრთხეები დასახელდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა რუსეთის აგრესიულ ქმედებებს, ასევე, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში არსებულ უსაფრთხოების გარემოს და მათ გავლენას ნატო-ს წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებაზე.

შეკავება და თავდაცვა

ნატო-ს აღმოსავლეთ ფლანგის გაძლიერება

სამიტის დეკლარაციით დადასტურდა, რომ ალიანსმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა შეკავებისა და თავდაცვის მექანიზმების გასაძლიერებლად.

ვარშავაში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ნატო 2017 წლის დასაწყისიდან ბალტიისპირა ქვეყნებში (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) და პოლონეთში განათავსებს ბატალიონის ზომის 4 სამხედრო ქვედანაყოფს,[1] რომლებიც ადგილობრივ სამხედრო ქვედანაყოფებთან შეთანხმებულად იმოქმედებენ[2].

აღნიშნულ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ნატო-ს 2014 წლის უელსის სამიტზე მზადყოფნის სამოქმედო გეგმის (Readiness Action Plan - RAP) დამტკიცება, რომელიც ძირითადად სწორედ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებისა და მათი სტრატეგიული გავლენის საპასუხოდ იქნა

---

[1] სამხედრო ძალები იქნება მრავალეროვნული და დაკომპლექტდება ამ პროცესში გამოკვეთილი წამყვანი სახელმწიფოების (კანადა, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები) და სხვა კონტრიბუტორი მოკავშირეების მიერ ნებაყოფლობითობის, მდგრადობის და როტაციის პრინციპების საფუძველზე;

[2] http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm, მე -40 პუნქტი;

მიღებული[3]. ხსენებული გეგმა მოიცავს თანმიმდევრული და კომპლექსური ღონისძიებების ერთობლიობას, რომელთა მიზნად განისაზღვრა უსაფრთხოების ახალ რეალობებთან ადაპტირება და ცალკეული მოკავშირეების დარწმუნება ალიანსის ერთიანობაში. გეგმით გათვალისწინებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო სამხედრო ძალების როტაციის პრინციპით, უწყვეტად ყოფნა ალიანსის აღმოსავლეთის მიმართულებით.

RAP-ის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებიდან ხაზი უნდა გაესვას ალიანსის მიერ უკვე გადადგმულ შემდეგ მნიშვნელოვან ნაბიჯებს:

- *ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალების (NATO Response Forces - NRF) რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდა და მათი შესაძლებლობების გაძლიერება;*
- *ძალიან მაღალი მზადყოფნის გაერთიანებული ძალების (Very High Readiness Joint Task Force - VJTF) ჩამოყალიბება, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა, შექმნილი საჭიროებიდან გამომდინარე მოკლე ვადებში (2–3 დღე) მოახდინონ გადაადგილება, მათ შორის, ნატო-ს საზღვრისპირა რეგიონებში;*
- *ალიანსის აღმოსავლეთით ნატო-ს ძალების ინტეგრირების (NATO Force Integration Units – NFIUs) რვა ერთეულის ჩამოყალიბება, რომელთა ძირითად ფუნქციად აღნიშნულ რეგიონში შესაბამისი წვრთნების, სწავლებების და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ძალების მიღების პროცესის კოორდინირება განისაზღვრა;*
- *ნატო-ს ძალთა სტრუქტურის ფარგლებში პოლონეთში მრავალეროვნული ძალების შტაბბინის სრულფასოვნად ამოქმედება, ასევე, რუმინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში მრავალეროვნული ძალების შტაბბინის შექმნა, რომლის მთავარი ამოცანაა ალიანსის აღმოსავლეთით ჩამოყალიბებული ნატო-ს ძალების ინტეგრირების ერთეულების (NFIUs)კოორდინირება და ხელმძღვანელობა;*
- *ნატო-ს წვრთნების ინტენსიფიცირება;*
- *სტრატეგიის შემუშავება ჰიბრიდული საფრთხეების განეიტრალების გზებზე, რომელიც ევროკავშირთან კოორდინირებით ხორციელდება.*

[3] http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_112964.htm; მე -5 პუნქტი;

2014 წელს უელსის სამიტზე მიღებული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები შეიცავდა პოლიტიკურ გზავნილს რუსეთის ფედერაციის მიმართ ნატო-ს კოლექტიური თავდაცვის პრინციპთან დაკავშირებით ალიანსის ურყევი პოზიციის შესახებ. პრაქტიკული თვალსაზრისით, ხსენებული გადაწყვეტილებების შედეგად ალიანსის აღმოსავლეთით გაჩნდა ნატო-ს დამატებითი ელემენტები, თუმცა მათი ძირითადი ნაწილი იყო კოორდინაციის, რიგ შემთხვევაში კი მართვის ფუნქციის მატარებელი, ხოლო სამხედრო ქვედანაყოფების ყოფნა შესაბამის რეგიონში ხორციელდებოდა როტაციის პრინციპით და არ ითვალისწინებდა მათ მუდმივად მივლენას (განლაგებას) სათანადო ტერიტორიების დასაცავად. შესაბამისად, ვარშავის სამიტის დეკლარაციის საფუძველზე სამხედრო ქვედანაყოფების შექმნა, რომლებიც განთავსდებიან პოლონეთსა და ბალტიისპირა ქვეყნებში, მნიშვნელოვანი დამატებითი ნაბიჯია აღნიშნული სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და აძლიერებს ალიანსის მიერ შეკავებისა და თავდაცვის როგორც პრაქტიკულ, ასევე პოლიტიკურ მექანიზმებს.

აღნიშნულის მიუხედავად, ზემოხსენებულ რეგიონში არსებული ძალთა ბალანსის გათვალისწინებით, ნატო-ს აღმოსავლეთით რუსეთიდან მომდინარე შესაძლო საფრთხეების განეიტრალება ალიანსისთვის კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

შავი ზღვისა და ბალტიის ზღვის უსაფრთხოება

რეგიონში განვითარებული პროცესებიდან გამომდინარე, მათ შორის ყირიმის ანექსიისა და აღნიშნულ ტერიტორიაზე რუსეთის მიერ ჭარბი სამხედრო ინფრასტრუქტურის მობილიზების გათვალისწინებით, შავი ზღვის უსაფრთხოება მოკავშირეთა განსაკუთრებული ყურადღების არეალში მოექცა. ამ მხრივ ვარშავის სამიტის დეკლარაციაში ხაზი გაესვა რუმინეთის ინიციატივის მნიშვნელობას მრავალეროვნული ბრიგადის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით[4]. ასევე, აღინიშნა, რომ განხილული იქნება სხვადასხვა შესაძლებლობა რეგიონში ნატო-ს ყოფნის გასაძლიერებლად. დეკლარაციაში მკაფიოდ არის ხაზგასმული, რომ ალიანსი გააძლიერებს დიალოგსა და თანამშრომლობას საქართველოსთან და უკრაინასთან შავი ზღვის აკვატორიაში უსაფრთხოების თემებთან დაკავშირებით.[5]

---

[4] აღნიშნული ბრიგადა უზრუნველყოფს მოკავშირეთა ქვედანაყოფების ინტეგრირებული წვრთნების ეფექტიანობას იმ მიზნით, რომ შავი ზღვის რეგიონში გაძლიერდეს შეკავებისა და თავდაცვის მექანიზმები (დეკლარაციის 41–ე პუნქტი);

[5] http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm, 23-ე პუნქტი;

რეგიონის და გლობალური უსაფრთხოების თემებზე ალიანსის სტრატეგიულ დისკუსიებში მონაწილეობის და პარტნიორობის გაძლიერებული შესაძლებლობები საქართველოს ნატო-ს 2014 წლის უელსის სამიტის დეკლარაციით და ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტით (SNGP) მიენიჭა[6]. ვარშავის სამიტზე კონკრეტულად შავი ზღვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საქართველოზე მკაფიო აქცენტების გაკეთება (ჩართვა დისკუსიებში და თანამშრომლობის გაძლიერება) არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ამ გადაწყვეტილების შესაძლო პოზიტიური გავლენა საქართველოს უსაფრთხოებაზე და ნატო-ში მის ინტეგრაციის პროცესზე დიდწილად იქნება დამოკიდებული ვარშავის სამიტის შემდგომ პერიოდში ხსენებულ თემასთან დაკავშირებით ნატო-საქართველოს პარტნიორობის გამოკვეთილ ფორმებზე და თანამშრომლობის დინამიკაზე.

ვარშავის სამიტის დეკლარაციაში აღინიშნა, რომ 2014 წლის შემდეგ გართულდა უსაფრთხოების გარემო ბალტიის ზღვის რეგიონში. კერძოდ, ხაზი გაესვა რუსეთის გააქტიურებულ სამხედრო აქტივობებს და ახალი სამხედრო ტექნოლოგიების განლაგებას, რაც დამატებით გამოწვევებს უქმნის რეგიონის უსაფრთხოებას. ამავე კონტექსტში მინიშნება გაკეთდა ნატო-ს თანამშრომლობაზე შვედეთთან და ფინეთთან, ასევე ამ პარტნიორობის უდიდეს მნიშვნელობაზე შესაბამის რეგიონში არსებულ გამოწვევებთან დროულად და ეფექტიანად გამკლავებისათვის.[7]

მოკავშირეთა დანახარჯები თავდაცვაზე

სამიტის დეკლარაციაში აღინიშნა, რომ 2009 წლის შემდეგ პირველად 2016 წელს გაიზარდა მოკავშირეთა ფინანსური დანახარჯები თავდაცვაზე. ნატო-ს 5 წევრი სახელმწიფო უკვე აკმაყოფილებს ალიანსის დირექტივის (guideline) მოთხოვნას ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის სულ მცირე 2 პროცენტის თავდაცვისათვის გამოყოფის შესახებ. აგრეთვე, 10 წევრი ქვეყანა აკმაყოფილებს მოთხოვნას იმის შესახებ, რომ თავდაცვის ბიუჯეტის 20 პროცენტი უნდა მოხმარდეს ძირითად აღჭურვილობას, მათ შორის კვლევას და განვითარებას. ალიანსი დადებითად აფასებს მოკავშირეთა ძალისხმევას ნატო-ს საერთაშორისო ოპერაციებში, მისიებსა და აქტივობებში მონაწილეობის თვალსაზრისით და

[6] გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორობის ჯგუფში (Enhanced Opportunity Partners - EOP) ასევე შედიან: შვედეთი, ფინეთი, ავსტრალია და იორდანია.

[7] http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm, 23-ე პუნქტი;

წევრი ქვეყნების კონტრიბუციას ნატო-ს სარდლოებებსა და ძალთა სტრუქურებში, თუმცა აღიარებს ზემოაღნიშნული მიმართულებებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმის საჭიროებას.[8]

ჰიბრიდული საფრთხეები – კიბერუსაფრთხოება

ვარშავაში ალიანსმა ასევე გადადგა ნაბიჯები კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ჰიბრიდული საფრთხეების განეიტრალების მექანიზმების გასაძლიერებლად. ამ მხრივ ალიანსმა ხაზი გაუსვა ჰიბრიდული საფრთხეების საპასუხოდ ნატო-ს როლის შესახებ დამტკიცებული სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის მნიშვნელობას.

ჰიბრიდული საფრთხეების და მათზე ერთობლივი ძალისხმევით ეფექტიანად რეაგირების განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ აღინიშნა ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, ევროკომისიის პრეზიდენტის და ნატო-ს გენარალური მდივნის ერთობლივ დეკლარაციაშიც.

ნატო-მ ასევე დაამტიცა მოკავშირეთა შეთანხმების ამსახველი დოკუმენტი (Cyber Defence Pledge), რომელიც ითვალისწინებს ალიანსის წევრ სახელმწიფოთა ვალდებულებას, გადადგან მნიშვნელოვანი ნაბიჯები აღნიშნულ სფეროში პროგრესის მისაღწევად, მათ შორის უზრუნველყონ ეროვნული ქსელების და ინფრასტრუქტურის კიბერუსაფრთხოების გაძლიერება, ამ მიზნით გამოყონ შესაბამისი ფინანსური რესურსები, ასევე, ხელი შეუწყონ კიბერუსაფრთხოების სფეროში ცნობიერების ამაღლებას და უნარების განვითარებას.[9]

ე.წ. ისლამური სახელმწიფო (დაეში), ავღანეთი, ანტისარაკეტო თავდაცვა (BMD)

დაეში-ს წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ნატო გააძლიერებს გლობალური კოალიციის (Global Coalition to Counter ISIL) მხარდაჭერას ნატო-ს საჰაერო შეტყობინების, კონტროლის და მართვის სისტემის (AWACS) მეშვეობით. ალიანსმა მკაფიოდ გაუსვა ხაზი, რომ ეს კონტრიბუცია არ გულისხმობს ნატო-ს გაწევრიანებას ზემოაღნიშნულ კოალიციაში.[10]

ნატო და მისი პარტნიორები ასევე შეთანხმდნენ, რომ ავღანეთში მტკიცე მხარდაჭერის მისია გაგრძელდება 2016 წლის შემდეგაც, რათა გაგრძელდეს ავღანეთის უსაფრთხოების ძალების მხარდაჭერა, წვრთნები და მათთვის რჩევების მიცემის პროცესი. ასევე, გაგრძელდება

---

[8] http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm, 34-ე პუნქტი;

[9] http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm, 71-ე პუნქტი;

[10] http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm, 96-ე პუნქტი;

ფინანსური კონტრიბუციების გამოყოფა ნატო-ს წევრი და პარტნიორი სახელმწიფოების მხრიდან ავღანეთის ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების ძალების განვითარებისათვის[11]. საქართველომ მხარი დაუჭირა მტკიცე მხარდაჭერის მისიის გაგრძელებას.

ალიანსმა დადებითად შეაფასა ანტისარაკეტო სისტემების (BMD) განვითარების მხრივ ნატო-ს 2012 წლის ჩიკაგოს სამიტიდან 2016 წლის ვარშავის სამიტამდე პერიოდში მიღწეული პროგრესი.

პარტნიორობა არაწევრ სახელმწიფოებთან

ვარშავაში ნატო-მ მკაფიოდ აღნიშნა, რომ პარტნიორობის თავსებადობის ინიციატივა (Partnership Interoperability Initiative - PII) პარტნიორებთან თავსებადობის ამაღლებისა და კრიზისების მართვის საკითხებზე თანამშრომლობის მთავარ ფორმატად იქცა[12].

პარტნიორობის თავსებადობის ინიციატივა (Partnership Interoperability Initiative - PII) 2014 წლის უელსის სამიტზე შეიქმნა. ამავე სამიტზე ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების მიერ დაარსდა თავსებადობის პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც მოკავშირეები შეხვდნენ იმ 24 პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენლებს, რომლებმაც გამოხატეს მზაობა, აამაღლონ ნატო-სთან თავსებადობა. სწორედ პარტნიორობის თავსებადობის ინიციატივის ფარგლებში გამოიკვეთა 5 პარტნიორი, რომელთაც გაძლიერებული შესაძლებლობები მიენიჭათ (Enhanced Opportunity Partners - EOP). მათ შორის არიან: საქართველო, შვედეთი, ფინეთი, ავსტრალია და იორდანია.

ვარშავაში თავსებადობის პლატფორმაში მონაწილე თავდაცვის მინისტრებმა დაამტკიცეს საგზაო რუკა (roadmap), რომლის მიხედვითაც ნატო-ს წევრი ქვეყნები და პარტნიორი სახელმწიფოები მომავალი წლის განმავლობაში ერთობლივად იმუშავებენ კრიზისების მართვისათვის მომზადების საკითხებზე და განიხილავენ ნატო-სა და პარტნიორებს შორის თანამშრომლობის დამატებით საშუალებებს უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

ალიანსმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორებთან (EOP) სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობის მნიშვნელობას. 2014 წელს უკრაინამაც გამოხატა ინტერესი EOP–ის მიმართ, თუმცა, როგორც ჩანს, ნატო-ს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილება ამ ეტაპზე მიღებული არ არის.

---

[11] http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm, 86-ე პუნქტი;

[12] http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm, მე -100 პუნქტი;

საქართველოს, როგორც ასპირანტი ქვეყნის, მთავარი ამოცანა ალიანსთან ურთიერთობებში ნატო-ს წევრობაა, რაც მას ინტერესების თვალსაზრისით განასხვავებს ალიანსის ბევრი სხვა პარტნიორისგან, მათ შორის გაძლიერებული შესაძლებლობების მქონე ყველა სახელმწიფოსაგან (EOP). აღნიშნულის მიუხედავად, მნიშვნელოვანია, საქართველომ ეფექტიანად გამოიყენოს პარტნიორობის არსებული მექანიზმები ნატო-სთან ინსტიტუციური დაახლოებისათვის და ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერებისათვის და ამავდროულად შეინარჩუნოს სანდო და ღირებული პარტნიორის იმიჯი.

ღია კარის პოლიტიკა

ვარშავაში ნატო-მ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ მონტენეგროს მიწვევა ადასტურებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთგულებას ღია კარის პოლიტიკის მიმართ. ნატო-მ ასევე შეაფასა ასპირანტი ქვეყნების (საქართველო, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია და ბოსნია და ჰერცეგოვინა) პროგრესი, მადლობა გადაუხადა მათ საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში შეტანილი წვლილისათვის და მოუწოდა, განაგრძონ დემოკრატიული და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება.

საქართველო

ვარშავის სამიტის დეცლარაციაში ალიანსმა სრულად ასახა/გაიმეორა საქართველოს გაწევრიანებასთან დაკავშირებით 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე, ასევე მის შემდეგ მიღებული ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება[13], მათ შორის აღსანიშნავია:

- ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი (მითითებით, რომ გაწევრიანების სამოქმედო გეგმა არის ამ პროცესის შემადგენელი ნაწილი);
- ალიანსი მიესალმება 2008 წლიდან საქართველოს მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს;
- საქართველოს ურთიერთობა ალიანსთან შეიცავს ნატო-ს წევრობისათვის მოსამზადებელ ყველა პრაქტიკულ ინსტრუმენტს.

ასევე აღინიშნა, რომ მიღწეული იქნა შეთანხმება დამატებით პრაქტიკულ ნაბიჯებზე, მათ შორის ძალისხმევის გაძლიერებაზე საქართველოს კრიზისების მართვის შესაძლებლობების,

[13] http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm, 111-ე პუნქტი;

სწავლებისა და წვრთნების, აგრეთვე სტრატეგიული კომუნიკაციის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

ხაზი გაესვა, რომ ნატო განაგრძობს საჭირო რესურსების გამოყოფას ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტის იმპლემენტაციისათვის, რაც მიზნად ისახავს საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერებას და, შესაბამისად, ეხმარება ქვეყანას, წაიწიოს წინ ალიანსის წევრობისათვის მომზადების პროცესში[14].

დეკლარაციით გაცხადებული იქნა, რომ ალიანსი დაეხმარება საქართველოს საჰაერო თავდაცვისა და საჰაერო თვალთვალის შესაძლებლობების განვითარებაში.

უშუალოდ საქართველოსთან დაკავშირებულ დებულებებში კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ გაძლიერდება ფოკუსი შავი ზღვის უსაფრთხოებაზე.

ალიანსმა ასევე ხაზი გაუსვა ნატო-საქართველოს ურთიერთობების არსებული ფორმატებისა და ინსტრუმენტების[15] გამოყენების მნიშვნელობას და განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა ქვეყნის მიერ საერთაშორისო უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილისათვის.

ალიანსმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი მკაფიო და ურყევი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ და მოუწოდა რუსეთს, გაიყვანოს ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან.

მნიშვნელოვანია, რომ ვარშავის სამიტის ფარგლებში ჩატარდა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. აგრეთვე, გამოიცა ნატო-საქართველოს კომისიის ერთობლივი განცხადება[16], რომელშიც, სამიტის დეკლარაციაში ასახული ელემენტების გარდა, ხაზი გაესვა შემდეგ ფაქტორებს:

- ტრანსფორმაციის გაერთიანებულ სარდლობას (Allied Command Transformation) დაევალა, უზრუნველყოს ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) აფილირება ალიანსის სწავლებისა და წვრთნების სამუშაოებთან;

---

[14] http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm, 112–ე პუნქტი;

[15] ნატო-საქართველოს კომისია, ყოველწლიური ეროვნული პროგრამა, თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარების ინიციატივა (Defence Capacity Building Initiative), ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტი, საქართველო როგორც გაძლიერებული შესაძლებლობების მქონე პარტნიორი;

[16] http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133175.htm;

- ალიანსი მხარს დაუჭერს საქართველოში ნატო-ს წვრთნების რეგულარულად ჩატარებას, რომლებიც ღია იქნება პარტნიორებისათვის. შემდეგი წვრთნა საქართველოში 2016 წლის ნოემბერში ჩატარდება;
- საქართველოსთვის თავდაცვის სფეროში წვრთნებისა და განათლების სფეროს მხარდაჭერა ასევე ითვლისწინებს ნატო-ს მიერ ნდობის ფონდის (Trust Fund Project) პროექტის განხორციელების შესაძლებლობას;
- მიმდინარე წლის შემოდგომაზე საქართველოს ეწვევა ჩრდილოატლანტიკური საბჭო.

ისევე, როგორც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, ალიანსი ვარშავის სამიტზეც შეეხო მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების საკითხს (ჩანაწერი ჩიკაგოს 2012 წლის სამიტის დეკლარაციიდან – *„აღვნიშნავთ 2012 და 2013 წლების არჩევნების თავისუფალ, სამართლიან და ინკლუზიურ გარემოში ჩატარების მნიშვნელობას“*[17]).

2016 წლის ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ნატო-საქართველოს კომისიის ერთობლივი განცხადებით აღინიშნა, რომ *ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები მოელიან 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიის უმაღლესი სტანდარტებით ჩატარებას*[18].

გარდა ამისა, ვარშავის სამიტის დეკლარაციაში გაკეთდა ჩანაწერი იმის შესახებ, რომ საქართველოსთვის *„ამ წლის საპარლამენტო არჩევნები იქნება დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციისკენ გადადგმული კიდევ ერთი მთავარი ნაბიჯი“.*

ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია

ვარშავაში ალიანსმა კიდევ ერთხელ დაადასტურა 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიას ალიანსში მიიწვევენ მაშინვე, როგორც კი გაერო-ს ფარგლებში მიღწეული იქნება შეთანხმება ქვეყნის სახელწოდებასთან დაკავშირებით.

ალიანსმა ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიას მოუწოდა, განავითაროს კეთილმეზობლური ურთიერთობები და ხელი შეუწყოს სრულფასოვნად ფუნქციონირებადი მრავალეთნიკური საზოგადოების ფორმირებას, რაც უნდა ეფუძნებოდეს ოჰრიდის ჩარჩო

---

[17] http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_87593.htm?selectedLocale=en, 29-ე პუნქტი;

[18] http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133175.htm, 6-ე პუნქტი;

შეთანხმების (Ohrid Framework Agreement)[19] აღსრულებას. ასევე აღინიშნა, რომ სახელმწიფოში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა ქვეყანა დააშორა ნატო-ს ღირებულებებს. ალიანსი მოუწოდებს ქვეყნის შესაბამის პოლიტიკურ ძალებს, ჩაერთონ დიალოგში, შექმნან დამაჯერებელი არჩევნების ჩატარებისათვის საჭირო პირობები, აგრეთვე, გააძლიერონ კანონის უზენაესობის პრინციპი, მედიისა და სასამართლოს თავისუფლება.

ნატო-მ ასევე მადლობა გადაუხადა ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიას ალიანსის საერთაშორისო ოპერაციებში შეტანილი მტკიცე კონტრიბუციისათვის, გაწევრიანების პროცესისადმი გამოვლენილი ერთგულებისა და რეგიონის შესახებ გამართულ დიალოგებში მონაწილეობისათვის.

ბოსნია და ჰერცეგოვინა

ალიანსმა ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა თავისი მხარდაჭერა ბოსნია და ჰერცეგოვინას სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლლიანობისა და ნატო-ში გაწევრიანების პროცესის მიმართ.

ალიანსი მოუწოდებს ქვეყნის ლიდერებს, გამოავლინონ პოლიტიკური ნება და განახორციელონ შესაბამისი რეფორმები. ნატო ასევე მიესალმება ბოსნია და ჰერცეგოვინას საპრეზიდენტო საბჭოს შეთანხმებას თავდაცვის მიმოხილვის პრინციპებთან დაკავშირებით და მოუწოდებს მას, დროულად დაასრულოს ეს პროცესი. მოკავშირეები აგრეთვე მიესალმებიან ქვეყნის თავდაცვის სექტორის უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიღწეულ პროგრესს, ამავდროულად, მოუწოდებენ ქვეყნის ლიდერებს, იმისათვის, რომ დაიწყოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმის ამოქმედება, გააძლიერონ ძალისხმევა იმ მოთხოვნების შესასრულებლად, რომლებიც ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ტალინში 2010 წლის აპრილში განისაზღვრა.

ალიანსი აღიარებს ნატო-ს საერთაშორისო ოპერაციებში ბოსნია და ჰერცეგოვინას კონტრიბუციას, აგრეთვე მის ერთგულებას რეგიონული დიალოგის, თანამშრომლობისა და უსაფრთხოების მიმართ.

---

[19] 2001 წლის 13 აგვისტოს სამშვიდობო შეთანხმება ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის ხელისუფლებასა და ეთნიკურად ალბანურ ძალებს შორის;

ვარშავის სამიტის დეკლარაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოსთან მიმართებით ალიანსმა გადაწყვეტილებები ძირითადად ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერების და ნატო-სთან თავსებადობის ამაღლების საკითხებთან დაკავშირებით მიიღო.

მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ საქართველოს საკითხი აქტუალურად იდგა ვარშავის სამიტის დღის წესრიგში. ქვეყნის და მისი მისწრაფებებისადმი პოლიტიკური მხარდაჭერის დემონსტრირებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სამიტის ფარგლებში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე[20], ასევე გამოიცა ნატო-საქართველოს კომისიის ერთობლივი განცხადება, რომელშიც ასახულია ნატო-ს მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, უსაფრთხოებისა და ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესისადმი. აგრეთვე, შედგა ნატო-ს გენერალური მდივნისა და საქართველოს პრეზიდენტის ორმხრივი შეხვედრა. მხარდაჭერის მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნატო-ს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის შემოდგომაზე საქართველოს ჩრდილოატლანტიკური საბჭო ეწვევა.

დადებითად იქნა შეფასებული ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში დემოკრატიის, ეკონომიკისა და თავდაცვის სისტემის განვითარების მხრივ მიღწეული პროგრესი. ალიანსმა მოუწოდა საქართველოს, განაგრძოს შესაბამისი რეფორმების განხორციელება და აღნიშნა, რომ ნატო მომავალშიც აღმოუჩენს ქვეყანას მხარდაჭერას ამ მიმართულებებით[21].

საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობისათვის და ამ გზაზე დამატებითი შემაფერხებელი ფაქტორების თავიდან არიდებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია 2016 წლის ოქტომბერში დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების თავისუფალ, სამართლიან, პლურალისტურ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარება.

---

[20] 2016 წლის ვარშავის სამიტზე ასევე შედგა ნატო–უკრაინის კომისიის სხდომა სახელმწიფო მეთაურების დონეზე, სადაც შეთანხმდნენ საყოველთაო მხარდაჭერის პაკეტზე (CAP) და განიხილეს უკრაინაში არსებული უსაფრთოების გარემო;

[21] http://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133175.htm, მე -6 პუნქტი.